პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 298 (12506)

შაბათი, 22 დეკემბერი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

გუშინ, 21 დეკემბერს, თბილისში მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

დეპუტატებმა ერთხმად მოიწონეს და დაამტკიცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია

21 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია განაგრძობდა მუშაობას. მეორე დღეა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იხილავენ საკითხებს, თუ რა გზით განვითარდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა შვიდწლეულის მეხუთე წელს.

ხალხის რჩეულები დიდი დაინტერესებით იხილავენ და აანალიზებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველ ციფრს, რომლებიც გამსჭვალულია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვით.

სხდომის დაწყებამდე გაცხოველებულ საუბარში დეპუტატები ერთმანეთს უზიარებენ აზრს სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეულ შესანიშნავ წარმატებათა შესახებ, ეცნობიან 1962 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგებს. რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის მატება 1962 წელს 1961 წელთან შედარებით შეადგენს 10,3 პროცენტს!

— ამით ჰპოვებს თავის მკაფიო გამოხატულებას, თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზუგდიდის საწარმო სამმართველოს პარტორგმა ა. კ. ძვარცხავამ, ჩვენი პარტიის ლენინური კურსი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის.

როცა ჩვენს გეგმებზე ლაპარაკობენ, დეპუტატები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამის განხორციელების შედეგად, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემის გარდაქმნის შედეგად წარმატებით ვითარდება რესპუბლიკის მეურნეობის ყველა დარგი. კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს გვესახავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

— მე მომიხდა ამ პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა, — ამბობს დეპუტატი, თბილისას ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი პ. მ. ილურიძე. მისი გადწყვეტილებანი საშუალებას მოგვცემენ უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული მდიდარი რეზერვები, მთელი ყურადღება დავუთმოთ ტექნიკური პროგრესის განხორციელებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

საქართველოს ყველა მშრომელის, ხალხის ყველა მონაწილის ფიქრები და გრძნობები გამოხატა დეპუტატმა, საბჭოთა კავშირის გმირმა გ. ვ. ძანთარიამ.

— კომუნიზმი რომ წარმატებით ვაშენოთ, ჩვენ გვჭირდება მშვიდობა. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლა პირველი მცნებაა ჩვენი პარტიის და საბჭოთა მთავრობისა, რომლებსაც სათავეში უდგას მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლი ნ. ს. ხრუშჩოვი. მადლობა მათ ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით იმისათვის, რომ თავიანთი ბრძნული პოლიტიკით აგვაშორეს თერმოიბერნული ომის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ემუქრებოდა.

გრძელდება კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. დ. კუპრაძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ნ. ბ. გოგელაურმა (ქვემო მაჩხაანის საარჩევნო ოლქი, სიღნაღის რაიონი), ვ. ი. ბაზაევმა (ცხინვალის ლენინის საარჩევნო ოლქი), ნ. ი. როდიმანინკომ (ნავთლუღის საარჩევნო ოლქი, ქალაქი თბილისი), ნ. ს. ჯაფეხიძემ (არბოშიკის საარჩევნო ოლქი, წითელწყაროს რაიონი), თ. ვ. ლაშარაშვილმა (შავშვების საარჩევნო ოლქი, გორის რაიონი), ტ. ნ. ფედოსეევამ (მანგლისის საარჩევნო ოლქი, თეთრი წყაროს რაიონი), ვ. ა. ბურდულმა (ბაზალეთის საარჩევნო ოლქი, დუშეთის რაიონი), ი. ნ. ალიაზაშვილმა (ახმეტის საარჩევნო ოლქი), ნ. ს. ყოჩიაშვილმა (წითელწყაროს საარჩევნო ოლქი).

ამით დამთავრდა კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო.

საბოლოო სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. დ. გოცირიძემ და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა ბ. ა. ჩხეიძემ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ ერთხმად დაამტკიცა კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ.

ერთხმად დამტკიცა სესიამ აგრეთვე კანონი საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და ანგარიში საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სესიამ დაიწყო განხილვა დღის წესრიგის მესამე საკითხისა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა დეპუტატმა ნ. ა. ჯაპაიშვილმა.

სესიამ დამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

სესიამ განიხილა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხი. დეპუტატი ზ. ბ. გელდიაშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად არჩეულია დეპუტატი ზ. ა. კვაშაძე.

ამით საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ დამთავრა მუშაობა. (საქდესი).

მხურვალე მისალმება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულმხურვალედ მიულოცეს მშენებლებს, მეშონტაჟეებს, მეტალურგებს, რომლებმაც ომუტნინსკის მეტალურგიულ ქარხანაში ააგეს წვრილსორტული „280“ საგლინი დგანი, დიდი შრომითი გმირობა — დგანის მშენებლობის დამთავრება და მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა. მისალმებაში აღნიშნულია, რომ საგლინი დგანის მოკლე ვადაში აგება განხორციელდა მრავალი კოლექტივის დაძაბული შრომის, მუშაობის მაღალ ტექნიკურ დონეზე განხორციელების შედეგად მშენებლობის მოწინავე მეთოდების ფართო გამოყენებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უსურვებენ მშენებლებს ახალ შრომით წარმატებებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს სახალინის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებს კარტოფილის შესყიდვის წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულება. დამზადებულია 39,4 ათასი ტონა კარტოფილი, გეგმაზე 9,4 ათასი ტონით მეტი და თითქმის 22 ათასი ტონით მეტი, ვიდრე დამზადებული იყო 1961 წელს. პირველად ოლქის მოსახლეობა უზრუნველყოფილია კარტოფილით მისი ადგილზე წარმოების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სახალინის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები, ყველა მშრომელნი გაგრძელებენ მიღწეულ წარმატებებს, გადწყვეტენ ოლქის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მთლიანად უზრუნველყოფის ამოცანას და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXII ყრილობის გადწყვეტილებათა შესრულებაში.

ახალი ტრასა

ბრატსკი, (საქდესის კორ.). ანბარის დამპყროგთა გული აღსავსეა გამარჯვების სიხარულით. ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის ენერგიას ციმბირის მრეწველობა მიიღებს ირკუტსკ-ბრატსკის ახალი მაღალძაბვიანი ტრასით. ეს მეორე დიდი სიძლავრის ელექტროგადამცემი ხაზია, რომელიც გაყვანილია თითქმის 600 კილომეტრზე ტაიგაში. ამჟამად ენერგიის გადაცემა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

იოსიპ ბროზ ტიტოს გამგზავრება

კიევი, 20 დეკემბერი. (საკდესი). დღეს აქედან სამშობლოში გაეშგზავრა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ.

კიევის ვოგზალში, რომელიც მორთული იყო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და უკრაინის სს რესპუბლიკის ალმებით, იოსიპ ბროზ ტიტო გაეცილეს ნ. ს. ხრუშჩოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ, უკრაინის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ი. ს. სენინმა და სხვებმა.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ ვოგზალში სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ნ. ს. ხრუშჩოვი და სხვა გამცილებლები გულთბილად გამოეთხოვნენ იუგოსლავ სტუმრებს და გზა მშვიდობისა უსურვეს მათ.

ლენინური პრემიების კომიტეტში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლენინური პრემიების კომიტეტმა ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში გამოაქვეყნა 1963 წლის ლენინური პრემიების მისანიჭებლად კომიტეტში წარდგენილ ნაწარმოებთა სია. საქართველოს სს რესპუბლიკიდან 1963 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილია:

მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის დარგში — ო. ვ. თაქთაკიშვილი — ოპერა „მინდია“. წარდგენილია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ.

სახვითი ხელოვნების დარგში — მ. კ. მერაბიშვილი — ა. ს. გრიბოედოვის ძეგლი ქ. თბილისში. წარდგენილია სსრკ მხატვართა კავშირისა და საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ.

თეატრალური ხელოვნების დარგში — ო. ა. დიმიტრიადი — დირიჟორი, ზ. ი. ანჯაფარიძე — მინდიას როლის შემსრულებელი, პ. ვ. ამირანაშვილი — ჩალხიას როლის შემსრულებელი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლ „მინდიაში“. წარდგენილია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ.

კინემატოგრაფიის დარგში — გ. ი. ასათიანი — რეჟისორ-ოპერატორი, ო. კ. დეკანოსიძე — ოპერატორი, მ. ბ. სტურუა — სადიტორო ტექსტების ავტორი, დ. ა. თორაძე — კომპოზიტორი. დოკუმენტური ფილმები „ნაირსახეობანი ამერიკა“ და „ალეირის დღიური“ საქართველოს ქრონიკალურ-დოკუმენტური და მეცნიერულ-პოპულარული ფილმების სტუდიის ნაწარმოები. წარდგენილია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში აღნიშნული და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მიიღოს მათ გარშემო შესაბამისი გადწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი. 1962 წლის 21 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი. 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად მიღებული ცვლილებებით შემოსავლის ნაწილში 804.447 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 804.447 ათასი მანეთის ოდენობით, და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის 24.133 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავლები სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 726.856 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის საერთო თანხით 333.274 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობის, განათლებისა და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, სანავიგო ბაგების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 423.940 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტრთ 87.230 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შენახვაზე — 16.667 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1963 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემდეგი თანხებით: შემოსავალი — 745.777 ათასი მანეთი, გასავალი — 505.225 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან და დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 240.552 ათასი მანეთი და, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის 16.166 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1963 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	დოტაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1964 წლის 1 იანვრისათვის
		მათ შორის			
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	29.188,3	21.670,9	—	29.188,3	875,6
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	21.424,4	15.908,0	—	21.424,4	642,7
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	9.742,2	3.763,3	4.981,5	9.742,2	292,2
4. ქალაქი თბილისი	85.137,2	62.810,8	—	85.137,2	1.702,7
5. ქალაქი ქუთაისი	11.892,0	7.542,5	—	11.892,0	237,8
6. ქალაქი ფოთი	4.219,7	3.504,9	—	4.219,7	126,6
7. ქალაქი ჭიათურა	3.925,2	3.414,0	—	3.925,2	163,5
8. ქალაქი რუსთავი	7.728,9	3.193,7	3.678,8	7.728,9	154,6
9. ქალაქი გორი	3.159,1	2.127,0	—	3.159,1	63,2
10. აბაშის რაიონი	1.357,6	1.155,9	—	1.357,6	56,1
11. ამბროლაურის რაიონი	1.740,7	625,1	991,3	1.740,7	63,1
12. ახალქალაქის რაიონი	4.841,2	1.703,6	2.755,4	4.841,2	148,6
13. ახალციხის რაიონი	5.372,5	3.805,8	930,9	5.372,5	146,1
14. ახმეტის რაიონი	2.013,4	809,8	1.042,6	2.013,4	59,1
15. ბოლნისის რაიონი	2.147,7	753,8	1.075,5	2.147,7	59,4
16. ბორჯომის რაიონი	2.201,9	1.696,4	—	2.201,9	53,0
17. გეგეჭკორის რაიონი	2.998,4	1.024,6	1.741,2	2.998,4	102,2
18. გორის რაიონი	2.851,6	2.557,0	—	2.851,6	106,1
19. გურჯაანის რაიონი	3.368,9	2.265,9	752,2	3.368,9	103,2
20. დმანისის რაიონი	1.603,4	342,0	1.144,5	1.603,4	66,9
21. დუშეთის რაიონი	2.482,8	422,6	1.717,1	2.482,8	76,4
22. ვანის რაიონი	1.892,0	478,6	1.170,4	1.892,0	68,2
23. ზესტაფონის რაიონი	2.893,9	2.546,4	—	2.893,9	85,0
24. ზუგდიდის რაიონი	5.764,0	5.090,7	—	5.764,0	140,8
25. თეთრიწყაროს რაიონი	2.448,8	411,6	1.773,9	2.448,8	78,2
26. თელავის რაიონი	3.817,9	3.440,9	—	3.817,9	86,1
27. თერჯოლის რაიონი	1.832,1	679,0	994,6	1.832,1	71,1
28. თიანეთის რაიონი	1.379,6	315,5	912,1	1.379,6	38,7
29. კასპის რაიონი	2.208,7	1.935,2	—	2.208,7	70,0
30. ლაგოდეხის რაიონი	2.329,2	2.021,4	—	2.329,2	74,7
31. ლანჩხუთის რაიონი	2.089,3	1.621,4	—	2.089,3	65,3
32. ლენტეხის რაიონი	1.352,2	104,0	1.189,9	1.352,2	32,4
33. მაიაკოვსკის რაიონი	1.526,5	358,0	1.037,1	1.526,5	53,2
34. მარნეულის რაიონი	3.242,0	2.947,8	—	3.242,0	89,2
35. მახარაძის რაიონი	3.723,2	2.958,6	—	3.723,2	109,5
36. მესტიის რაიონი	1.479,2	128,1	1.306,2	1.479,2	42,6
37. მცხეთის რაიონი	2.089,4	1.785,7	—	2.089,4	57,2
38. ონის რაიონი	1.519,0	300,6	1.086,0	1.519,0	48,2
39. ორჯონიკიძის რაიონი	2.063,3	594,1	1.324,7	2.063,3	65,4
40. საგარეჯოს რაიონი	2.041,7	1.381,4	305,1	2.041,7	82,5
41. სამგორის რაიონი	4.297,6	3.233,7	313,7	4.297,6	143,0
42. სამტრედიის რაიონი	3.253,1	2.644,5	—	3.253,1	84,3
43. საჩხერის რაიონი	1.862,4	486,6	1.185,7	1.862,4	57,4
44. სიღნაღის რაიონი	2.435,3	1.914,3	162,5	2.435,3	70,8
45. ტყიბულის რაიონი	2.306,2	1.929,0	43,4	2.306,2	60,8
46. ქარელის რაიონი	2.401,2	2.153,3	—	2.401,2	73,6
47. ყაზბეგის რაიონი	1.038,3	126,7	853,1	1.038,3	27,2
48. ყვარლის რაიონი	1.704,7	699,4	811,2	1.704,7	55,2
49. ჩოხატაურის რაიონი	2.137,4	829,5	1.105,3	2.137,4	66,8
50. ჩხოროწყუს რაიონი	1.626,2	844,9	702,6	1.626,2	56,0
51. ცაგერის რაიონი	1.583,9	406,1	1.060,5	1.583,9	51,6
52. ცხაკაიას რაიონი	2.878,1	2.471,0	—	2.878,1	78,3
53. წალენჯიხის რაიონი	2.000,6	1.343,0	497,7	2.000,6	59,8
54. წალკის რაიონი	2.183,6	385,6	1.619,1	2.183,6	80,0
55. წითელწყაროს რაიონი	1.919,9	1,142,0	521,2	1.919,9	45,6
56. წულუკიძის რაიონი	2.229,7	744,5	1.219,4	2.229,7	59,8
57. წყალტუბოს რაიონი	3.552,8	3.000,4	—	3.552,8	104,6
58. ხაშურის რაიონი	2.933,8	1.982,3	413,2	2.933,8	77,6
59. ხობის რაიონი	1.788,1	568,5	1.030,5	1.788,1	57,2
სულ	299.222,0	197.101,9	43.450,1	299.222,0	7.967,0

მუხლი 8. დამტკიცდეს 1963 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან 100 პროცენტი;

ბ) ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე სახელმწიფო გადასახადიდან 100 პროცენტი;

გ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან:

	ანარიცხების პროცენტები				
	მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	კოლმეურნეობათა გადასახადიდან	სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან	სსრკ უცოლო, უქმრო, მარტოხელა და მეტისმეტ ოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40	100	100	82	30,7
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	40	100	100	76	24,6
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	100	100	100,0
4. ქალაქი თბილისი	33	—	—	85	18,2
5. ქალაქი ქუთაისი	20	—	—	82	10,0
6. ქალაქი ფოთი	40	—	—	98	85,9
7. ქალაქი ჭიათურა	71	100	100	100	99,4
8. ქალაქი რუსთავი	50	—	—	100	100,0
9. ქალაქი გორი	31	—	—	100	35,9
10. აბაშის რაიონი	100	100	100	100	99,9
11. ამბროლაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
12. ახალქალაქის რაიონი	100	100	100	100	100,0
13. ახალციხის რაიონი	100	100	100	100	100,0
14. ახმეტის რაიონი	100	100	100	100	100,0
15. ბოლნისის რაიონი	100	100	100	100	100,0
16. ბორჯომის რაიონი	40	100	100	100	44,3
17. გეგეჭკორის რაიონი	100	100	100	100	100,0
18. გორის რაიონი	100	100	100	100	86,9
19. გურჯაანის რაიონი	100	100	100	100	100,0
20. დმანისის რაიონი	100	100	100	100	100,0
21. დუშეთის რაიონი	100	100	100	100	100,0
22. ვანის რაიონი	100	100	100	100	100,0
23. ზესტაფონის რაიონი	50	100	100	100	50,4
24. ზუგდიდის რაიონი	40	100	100	100	83,8
25. თეთრიწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
26. თელავის რაიონი	100	100	100	100	97,6
27. თერჯოლის რაიონი	100	100	100	100	100,0
28. თიანეთის რაიონი	100	—	100	100	100,0
29. კასპის რაიონი	50	100	100	100	41,0
30. ლაგოდეხის რაიონი	50	100	100	100	18,4
31. ლანჩხუთის რაიონი	50	70	100	100	92,0
32. ლენტეხის რაიონი	100	100	100	100	100,0
33. მაიაკოვსკის რაიონი	100	100	100	100	100,0
34. მარნეულის რაიონი	100	100	100	100	67,6
35. მახარაძის რაიონი	21	90	50	100	8,5
36. მესტიის რაიონი	100	—	100	100	100,0
37. მცხეთის რაიონი	77	100	100	100	100,0
38. ონის რაიონი	100	100	100	100	100,0
39. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
40. საგარეჯოს რაიონი	100	100	100	100	100,0
41. სამგორის რაიონი	100	—	100	100	100,0
42. სამტრედიის რაიონი	50	100	100	100	60,6
43. საჩხერის რაიონი	100	100	100	100	100,0
44. სიღნაღის რაიონი	100	100	100	100	100,0
45. ტყიბულის რაიონი	100	100	100	100	100,0
46. ქარელის რაიონი	100	100	100	100	42,0
47. ყაზბეგის რაიონი	100	100	100	100	100,0
48. ყვარლის რაიონი	100	100	100	100	100,0
49. ჩოხატაურის რაიონი	100	100	100	100	100,0
50 ჩხოროწყუს რაიონი	100	100	100	100	100,0
51. ცაგერის რაიონი	100	100	100	100	100,0
52. ცხაკაიას რაიონი	50	100	100	100	77,5
53. წალენჯიხის რაიონი	100	100	100	100	100,0
54. წალკის რაიონი	100	100	100	100	100,0
55. წითელწყაროს რაიონი	100	100	100	100	100,0
56. წულუკიძის რაიონი	100	100	100	100	100,0
57. წყალტუბოს რაიონი	100	100	100	100	68,7
58. ხაშურის რაიონი	100	100	100	100	100,0
59. ხობის რაიონი	100	100	100	100	100,0

მუხლი 9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის დასკვნაში, აგრეთვე დეპუტატთა მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათი მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემოსავლებში 775.672 ათასი მანეთის, ხარჯებში — 766.665 ათასი მანეთის ოდენობით, შემოსავლების ხარჯებზე — 9.007 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50 და 56 მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1962 წლის 10 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ";

1962 წლის 17 დეკემბრისა — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის გაუქმების შესახებ";

1962 წლის 19 სექტემბრისა — „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

მუხლი 2. მოწონებულ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება — „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის შესახებ".

მუხლი 3. შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 56 მუხლებში და ჩამოყალიბდეს ეს მუხლები შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, სათადარიგო ნაწილების, მინერალური სასუქებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაყიდვის, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანების რემონტის ორგანიზაციისა და გამოყენების საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანების („სასოფლტექნიკის") თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით".

„**მუხლი 56,** საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

აღგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
ვაჭრობისა;
კომუნალური მეურნეობისა;
მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა;
სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების;
სოციალური უზრუნველყოფისა;
წყალთა მეურნეობისა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

კანონი

„მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 13 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

კანონი

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

კანონი

„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შედეგები შეჯამების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 4 დეკემბრის ბრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შედეგები შეჯამების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამხ. ბ. ი. კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. მიტროფანე იონას ძე კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ბ. ი. კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. მიტროფანე იონას ძე კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ბ. ი. კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. მიტროფანე იონას ძე კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ბ. ი. კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ბ. ი. კუშაევას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ა. კვაშაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ზინაიდა არსენის ასულ კვაშაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ზაალ ბესარიონის ძე გელდიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ა. კვაშაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება ამხ. ზინაიდა არსენის ასულ კვაშაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. ჯაფარიშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ზ. ა. კვაშაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაშაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. ჯაფარიშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგრუნჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ი. მელქაძის თანამოხსენებები

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ ახლახან დაამთავრა თავისი მუშაობა. სესიამ განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირის შეიდწლიანი გეგმის მეხუთე წლის სახელმწიფო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებიც მთლიანად გამომდინარეობენ სკკ პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანებიდან.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და ბიუჯეტი, რომელიც 12 დეკემბრის თარიღით კანონად იქცა, გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებას, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის მზარდ აღმავლობას.

საქართველოს სსრ 1963 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც წარმოდგენილნი თქვენს განსახილველად, ასახავენ ჩვენი რესპუბლიკის წინაშე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ დასახულ ამოცანებს და უზრუნველყოფენ მათ განხორციელებას სათანადო ფულადი სახსრებით.

სახელმწიფო ბიუჯეტი კომისიამ შეისწავლა ყველა მასალა ამ პროექტების ირგვლივ და ამ მასალათა განხილვის შედეგად საჭიროდ სთვლის დეპუტატების ყურადღება შეიჰაროს სახალხო მეურნეობის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ზოგიერთ მნიშვნელოვან მაჩვენებელზე.

საქართველოს სსრ 1962 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ახალ აღმავლობასა და მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა 3,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა. გეგმის ზევით იქნა გამოშვებული თუჯი, ფოლადი, ფოლადის მილები, მანგანუმის სასაქონლო მადანი, ქვანახშირის კონცენტრატი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სხვ.

იზრდება შრომის ნაყოფიერება და მცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვნად გადაჭარბეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და ყურძნის მოყიდვის 1962 წლის გეგმას და ა. შ.

ამასთან ერთად სბიუჯეტო კომისია აღნიშნავს 1962 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის დავალებათა შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებს.

მაშინ როცა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ საერთოდ გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალებანი, საწარმოთა დიდი რაოდენობა მაინც ვერ ახერხებს მათთვის დაკისრებულ დავალებებს. არ სრულდება აზოტოვანი მინერალური სასუქების გამოშვების, ელექტროენერგიის გამომუშავების, ლითონსაჭრელი ჩარხების და ზოგიერთი სხვა პროდუქციის წარმოების გეგმები.

მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობის გადიდება 1962 წელთან შედარებით 6,6 პროცენტით. ქიმიურ მრეწველობაში პროდუქციის საერთო გამოშვება გაიზრდება 79,8 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავება — 17,1 პროცენტით, მანქანათმშენებლობის პროდუქციის ზრდა მაღწევს 13,7 პროცენტს.

რესპუბლიკაში 1963 წელს პირველად დაიწყება ისეთი ძვირფასი პროდუქტის წარმოება, როგორიც არის კალროლექტამი. შემდგომი განვითარება იგებგმება მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში. გათვალისწინებულია საშენი მასალების წარმოების მნიშვნელოვანი გაფართოება.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1963 წლისათვის გათვალისწინებულია 11 პროცენტით მეტი, ვიდრე 1962 წელს.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა ითვალისწინებს 1963 წელს მთელი რიგი ახალი საწარმოო ობიექტების მშენებლობას და შემდეგი წლებისათვის ასაშენებელ საწარმოთა დაპროექტებას.

სბიუჯეტო კომისია კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ხსენებული ობიექტების დროულად დაპროექტება და აშენება უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიური აღმავლობის ტემპების მკვეთრ დაჩქარებას, შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენებას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ადრეთვე სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის რაციონალიზაციისა და ელექტროენერგიის სეზონური დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით კაპიტალურ სამუშაოთა დაჩქარების ღონისძიებანი.

საწარმოო ობიექტების მშენებლობასთან ერთად 1963 წლის სახელმწიფო გეგმა ითვალისწინებს სანინო მშენებლობის შემდგომ გაფართოებას. 1963 წელს რესპუბლიკის მშრომელები მიიღებენ სახელმწიფოსა და მოსახლეობის სახსრებით აგებულ 866 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლებს.

1963 წლისათვის შრომის ნაყოფიერება გაიზრდება მრეწველობაში 4,2 პროცენტით, ხოლო მშენებლობაზე — 7,6 პროცენტით.

სბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ მომავალი წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის პროექტი შემუშავებულია სკკპ XXII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის სრული შესაბამისობით.

ამასთან დაკავშირებით სბიუჯეტო კომისიას შემოაქვს წინადადება დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი და დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებანი სბიუჯეტო კომისიის დასკვნაში მოხსენებული წინადადებების შესახებ.

სბიუჯეტო კომისიას მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭომ, მისმა სამმართველოებმა, ტრესტებმა, საწარმოებმა გადაჭრით უნდა გაძლიერონ ყურადღება მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების მკვეთრად გაუმჯობესებისადმი. პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის სრულყოფისათვის, შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების და დაგროვების დარგში გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ფართოდ უნდა ჩაებას საზოგადოებრიობა, კერძოდ პარტიის ნოემბრის პლენუმის შემდეგ წარმოშობილი საწარმოო კომიტეტები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილია აგრეთვე 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფმა განვითარებამ საჭირო პირობები შექმნა 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნორმალურად შესრულებისათვის. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 775.672 ათასი მანეთით, ხოლო ხარჯები 766.665 ათასი მანეთით.

სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთლიანად შესრულების მიუხედავად, სახალხო მეურნეობის საბჭოს, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების დაკვეთმდებარებელმა მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს ბიუჯეტის შენატანების გეგმის შესრულება. მოგების ანარიცხების გეგმა ვერ შეასრულეს მშენებლობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის ყოფ. სამინისტროს, წყალთა მეურნეობის, ავტოტრანსპორტის, ვაჭრობის სამინისტროების საწარმოებმა. არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად აღგილობრივი მეურნეობის მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საწარმოო-საფინანსო გეგმები (გურჯაანის, თერჯოლის რაიონები). ზოგ საწარმოში აღგილი ჰქონდა პროდუქციის თვითღირებულების ზრდას, ჯარიმების გადახდასა და ზეგეგმითს დანაკარგებს (ხაშურის რაიონი). ზოგმა რაიონმა ვერ უზრუნველყო რესპუბლიკის ბიუჯეტიდან მიღებული სესხების დაფარვა.

გარდა ამისა 1961 წელს გამოვლინებული იყო სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის სერიოზული ფაქტებიც. რაც უმთავრესად გამოიხატა ბიუჯეტის ჯარში შემოსავლის გამოყენებით მმართველობის ორგანოებს ხარჯების დასაფარავად, თვითდაბეგვრის თანხების აღმინისტრაციული სახლის მშენებლობაზე დახარჯვით (თერჯოლის რაიონი), ხანდაზმულობის მოტივით მნიშვნელოვანი თანხების ზარალად ჩამოწერით და სხვ.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ გასულ და მიმდინარე წელს გამოვლინებულ იქნა სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის მრავალი ფაქტი, რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელს ჯერ კიდევ სავსებით არა აქვს შეგნებული საფინანსო დისციპლინის მნიშვნელობა. გალის რაიონმასკომის კულტურის განყოფილებამ კინოთეატრის მშენებლობაზე დახარჯა თანხები გეგმით და ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე, დაუშვა ზედმეტობა სახსრების ხარჯვაში. თბილისის აღმასკომის აღგილობრივი მრეწველობის სამმართველოს მესამე მექანიკურ ქარხანაში ოვენებით დადგენილ იქნა ფასების დარღვევისა და ყერძო პირებისაგან დაკვეთების მიღების შემთხვევები;

თბილისის ხალიჩების წარმოებაში რევიზიით დადგენილია, რომ იქ მოკალათებული ბორტომმექანიკები ახერხებდნენ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების სამმართველოდან ქსოვილებისათვის გამოსაყოფი დეფიციტური ნართის მიღებას, თუმცა მას ამ ნართიდან ქსოვილის წარმოებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები არ გააჩნდა, მიღებულ ნართს ჩამოწერდნენ თითქოს ხალიჩებისა და ფარდაგების წარმოებაზე დახარჯულს, ხოლო სინამდვილეში ნართს ყიდდნენ მაღალ ფასებში. ამ გზით ბორტომმექანიკებმა მიითვისეს 113,7 ათასი მანეთი.

სბიუჯეტო კომისიას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის საფინანსო სისტემამ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაალიერა საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმმა დასახა ქმედითი ღონისძიებანი კონტროლის ლენინური პრინციპების აღდგენისა და განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონტროლსა და შემოწმებაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმას.

ამხანაგო დეპუტატებო! სბიუჯეტო კომისიამ განიხილა აგრეთვე წინასწარი მონაცემები მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსალოდნელია 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანად შესრულება, თუმცა შემოსავლის ცალკეულ წყაროებს ამჯერადაც ერთგვარი ჩამორჩენა ახასიათებს.

ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა იმაში უნდა ვეძიოთ, რომ მთელი რიგი საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები არ ასრულებს საწარმოო პროგრამას და დავალებებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში, ეს მაშინ, როცა ჩვენს საწარმოებში მრავალი შესაძლებლობა არსებობს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ მოიპოვება ისეთი საწარმოები, რომლებიც არასრულად იყენებენ პროდუქციის გამოშვების არსებულ რეზერვებს. კვლავ მნიშვნელოვანი ოდენობით არის დანაკარგები მრეწველობაში, რაც გამოწვეულია წუნდებული პროდუქციის გამოშვებით, მასალებისა და ხელფასის გადახარჯვით. ყველა საწარმო როდი ეწევა სათანადო ბრძოლას ნედლეულის, სათბობისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვას. სერიოზულ ნაკლოვანებათა რიცხვს მი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ი. მელქაძის თანამოხსენება

(დასასრული)

საგანმანათლებლო სკოლებში სკოლა-ინტერნატების ჩათვლით იქნება 807,7 ათასი კაცი ნაცვლად მომდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული 759,2 ათასი მოსწავლისა. საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავეებისათვის სამეცადინო დროებისა და ბავშვთა აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სკოლებში გახანგრძლივებული დღის ჯგუფების გაფართოებას. ამ ჯგუფებში ბავშვთა რიცხვი 11 ათასიდან 14 ათასამდე გაიზრდება.

ფართოვდება რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადება, განსაკუთრებით დაუსწრებელი და საღამოს სწავლების გზით. სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად ხარჯები კადრების მომზადებაზე 42.758 ათას მანეთს მიაღწევს. საკმაოდ დიდი თანხაა გამოყოფილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის.

ამ მიზნისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მომჭირნეობით და მიზნობრივად უნდა იქნას გამოყენებული, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა გეგმები უნდა შესრულდეს დაწესებულ ვადებში და შედეგები ეფექტურად დაინერგოს წარმოებაში.

1963 წლის ბოლოსათვის საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი აყვანილ იქნება 32.523-მდე. გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში იმოქმედებს 1.507 საწოლი.

მმართველობის აპარატისა და სასამართლო ორგანოების შენახვისათვის საქართველოს სსრ 1963 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 16.667 ათასი მანეთი, რაც საერთო ხარჯის მხოლოდ 2,1% შეადგენს. საჭიროა სამინისტროებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა სისტემატურად განაორციელონ ღონისძიებანი, მმართველი მმართველობის აპარატის სტრუქტურის შემდგომი გამარტივებისა და მისი გაიაფებისაკენ.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისიამ განიხილა და შეამოწმა საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ყველა საშემოსავლო წყარო, მათი გაანგარიშებანი და დაადგინა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას დამატებითი შემოსავალი. საბიუჯეტო კომისიას შესაძლებლად მიაჩნია გადიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების ბიუჯეტში შენატანების ოდენობა 250 ათასი მანეთით. ამავე დროს საბიუჯეტო კომისია ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულ ცვლილებებს, სახელდობრ სახელმწიფო დაზღვევის ბიუჯეტში შენატანების, ბრუნვის გადასახადის კონტინგენტის გადიდებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის ანარიცხების გადიდებას 1.988 ათასი მანეთით. სულ ბიუჯეტის საერთო მოცულობა უნდა გადიდდეს 2.238 ათასი მანეთით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ პროექტთან შედარებით.

საბიუჯეტო კომისიამ განიხილა აგრეთვე ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ორგანიზაციების შუამდგომლობანი საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ხარჯების გაზრდის შესახებ.

წარმოდგენილ მასალათა შესწავლის შედეგად საბიუჯეტო კომისიას წინადადება შემოაქვს ეს დამატებითი ხარჯები 2.238 ათასი მანეთის ოდენობით მიმართულ იქნას სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა კაპიტალურ რემონტსა და მათთვის ინვენტარისა და მოწყობილობათა შეძენაზე, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და სხვა ღონისძიებებზე. დამატებითი ასიგნობების გაწერილება რესპუბლიკურ უწყებებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქალაქებსა და რაიონებს შორის დაწერილებით ნაჩვენებია საბიუჯეტო კომისიის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ დასკვნაში, რომელიც დეპუტატებს დაურიგდათ.

ამრიგად, საბიუჯეტო კომისიის წინადადება შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა დასახული ცვლილებების მხედველობაში მიღებით დამტკიცდეს 804.447 ათასი მანეთის ოდენობით.

ამავე დროს უნდა მოვახსენო სესიას, რომ როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი რიგი საკითხები საბიუჯეტო კომისიას საბოლოოდ არ გადაუწყვეტია. ცალკეულმა სამინისტროებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტებმა წამოაყენეს ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ დამატებით შესწავლასა და დაზუსტებას. ასეთი საკითხები საბიუჯეტო კომისიამ ცალკე გამოყო და ისინი გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და გადასაწყვეტად, აგრეთვე, ცალკეულ სამინისტროებს — შესასწავლად და დასაზუსტებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! სახალხო მეურნეობის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი მათი დამტკიცების შემდეგ ხდება კანონად, რომლის შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. საჭიროა სამინისტროების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ყველა რგოლში მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ კანონით და მთელი თავიანთი საქმიანობა მიმართონ დასახულ ღონისძიებათა დროულად და გადაჭრებით შესრულებისათვის. მომჭირნეობით უნდა წარმოებდეს მატერიალური და ფულადი რესურსების ხარჯვა, უნდა აღიკვეთოს სახელმწიფო საკუთრების განიავებისა და დატაცების, ზედმეტობისა და სახსრების უყაირათოდ გამოყენების შემთხვევები. საჭიროა გაძლიერდეს ზრუნვა საშრომო-სალო გეგმების არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭრებითი შესრულებისათვის, დამატებითი საშემოსავლო წყაროების და სახსრების გამოვლინებისათვის. ამ მიზნით ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გამოყენებულ უნდა იქნას მშრომელთა ფართო მასების ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტივობის ზრდა. რაც გამოწვეულია კონსერვატორი მშენებლობის ახალი წარმატებებით. (ტაში).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამჯკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის დეპუტატ ნ. ა. ჯავახიშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოქვსე სესიიდან დღემდე განვლილ პერიოდში, რაც თითქმის ექვს თვეს მოიცავს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი ბრძანებულებანი, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის 36 მუხლის შესაბამისად უნდა განიხილოს და დამტკიცოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამაკავა მე მოგახსენოთ ამ ბრძანებულებათა შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1962 წლის 2-ე ნოემბრის დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებით შეიქმნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებით გაუქმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტი, კომუნალური და საფინანსო ორგანოების, კოოპერაციული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლთა შემადგენლობით. კომისიებმა გულდასმით უნდა შეამოწმონ მასალები ცალკეული პირების მიერ არაშრომითი შემოსავლით სახლის, აგარაკისა და სხვა ნაგებობების აშენების ან შეძენის შესახებ და თუ არსებობს სათანადო საფუძველი, საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას შემოწმების მასალების სახალხო სასამართლოში გაგზავნის შესახებ.

ამ საკითხზე მასალების შემოწმების და განხილვის დროს, თუ დადგინდა პირის დანაშაულებრივი ქმედობა, მასალები მის შესახებ გამოძიებისათვის უნდა გაეგზავნოს პროკურორს.

კანონიერების უკეთ დაცვისა და მძიმე დანაშაულობათა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის უზრუნველსაყოფად 1962 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით შეტანილ იქნა ცვლილებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და საპროცესო კოდექსებში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 25 მუხლის მეოთხე ნაწილი, სადაც ლაპარაკია თავისუფლების აღკვეთაზე საპყრობილეში მოთავსებით, 44 მუხლი, რომელშიც მოცემულია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის განმარტება, და 54 მუხლი, რომელიც ეხება სასჯელისაგან ვადამდე —პირობით გათავისუფლებას და სასჯელის შეცვლას უფრო მსუბუქით, ჩამოყალიბებულია სრულიად ახალი რედაქციით.

სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ამ ცვლილებების გამო საჭიროა შეიქნა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 375 მუხლის მესამე ნაწილისა და 376 მუხლის მეორე ნაწილის სათანადოდ შეცვლა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება.

1962 წლის 4 დეკემბრის ბრძანებულებით ცვლილება იქნა შეტანილი „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 13 აპრილის ბრძანებულების 15 მუხლში.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა—საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მიიღო რიგი ბრძანებულებანი მთავრობის ზოგიერთი წევრის დანიშვნისა და თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. ეს ბრძანებულებანიც შემოგვაქვს უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

1962 წლის 19 სექტემბრის ბრძანებულებით ამხ. თარან ალექსანდრეს-ძე ქავთარაძე დაინიშნა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად.

1962 წლის 31 ოქტომბერს მიღებულ იქნა ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. დავით ნესტორის-ძე ჩხეიძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ.

1962 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. მიხეილ თეოფანეს-ძე ჩიხლაძე დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1962 წლის 27 ნოემბრის ბრძანებულებით ამხ. გიორგი მინოს-ძე მარუაშვილი გათავისუფლდა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან. ამავე თარიღის ბრძანებულებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშნულ იქნა ამხ. ლევან აბოს-ძე საყვარელიძე.

1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით ამხ. მიტროფანე იონას-ძე კუჭავა გათავისუფლდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრის მოვალეობისაგან.

ამავე თარიღის ბრძანებულებით ამხ. მიტროფანე იონას-ძე კუჭავა დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

1962 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით ამხ. ვიქტორია მოსეს ასული სარაძე დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

1962 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით ამხ. ზაალ ბესარიონის-ძე გელდიაშვილი დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრად.

1962 წლის 19 დეკემბრის ბრძანებულებით ამხ. ზიანიდა არსენის ასული კვაჭაძე გათავისუფლებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომდინარე სესიის მიერ განსახილველი კანონებისა და დადგენილებების პროექტები თქვენ მიღებული გაქვთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გთხოვთ დაამტკიცოთ ეს კანონები და დადგენილებები. (ტაში).

უზრუნველვყოთ შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმის წარმატებით განხორციელება

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

ობილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის

ა. ე. მელაძის

სიტყვა

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები პირნათლად ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის ბრძნულ წინასწარდასახულებებს, ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა 103,9 პროცენტით შეასრულეს თერთმეტი თვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 24.700 ათასი მანეთის პროდუქცია.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის მეოცდაერ ზრუნვის მკაფიო გამოხატულებაა ის, რომ ყოველ წელს იზრდება ასიგნებანი ობილისის საქალაქო მეურნეობისათვის. უკანასკნელ 6 წელიწადში 5-ჯერ გადიდდა კაპიტალური დაბანდება ქალაქის განვითარებისათვის. მომდინარე წლის თერთმეტ თვეში მარტო ახალ მშენებლობას მოხმარდა 44.301 ათასი მანეთი, გაცლებით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. მომდინარე წელს საქალაქო საბჭო საექსპლოატაციოდ გადასცემს 144.400 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, 14.400 კვადრატული მეტრით მეტს, ვიდრე შარშან. ბევრ კილომეტრზეა გაყვანილი მიმდინარე წელს ახალი წყალსადენების ხაზები, 47 კილომეტრს აღწევს გაზის მაგისტრალი. მოასფალტებული და მოკირწყლულია დაახლოებით 500 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა და ტროტუარი. გაზიფიცირებულია 8 სამრეწველო საწარმო, 12.513 ბინა, 60 საკვაბე, მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლების, სამკურნალო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატების, ეკონომიისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი. ამ წარმატებებთან ერთად, ამბობს ორატორი, სერიოზული ნაკლოვანებანიც გვაქვს. ზოგიერთი სამრეწველო საწარმო ვერ ასრულებს გეგმას. 1963 წელს კაპიტალური დაბანდების ხაზით ობილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებას მოხმარდება 38.183 ათასი მანეთი. თანხა მცირე არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს და სერიოზულ ჩამორჩენას საქალაქო მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარებაში, ეს ასიგნებანი საკმარისი არ არის. უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება კომუნალურ მეურნეობას. ქალაქში მწვავედ იგრძნობა წყლის ნაკლებობა. სრულად რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობა წყლით, საჭიროა გავიყვანოთ წყალსადენის მეოთხე ხაზი საგურამოდან ობილისამდე. გამოყოფილი სახსრები საკმარისი არ არის, რომ დავამთავროთ მშენებლობა მომავალ წელს.

ამხ. მელაძემ დაასვა აგრეთვე საკითხი, რომ გადიდდეს ასიგნებანი საბინაო მშენებლობისათვის.

დეპუტატ

დ. ვ. გოგოხიას

სიტყვა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლებიც სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ დაამტკიცა ამ ცოტა ხნის წინათ, განსაკუთრებული უყურადღება ეთმობა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებამ შესაძლებლობა მისცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, ისევე როგორც ჩვენი სამშობლოს სხვა რესპუბლიკებს, მოეპოვებინათ უმაგალითო წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

ორატორმა მოახსენა სესიას, რომ მიმდინარე წლის პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი აფხაზეთში ყოველ წელს აღემატება მაჩვენებლებს, რომლებიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით. აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა გადაჭარბებით ასრულებს შვიდწლედის მეოთხე წლის გეგმებს. წლითიწლობით იზრდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის წარმოება.

აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოჰყავთ თითქმის 125 სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უკავია ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთოვან კულტურებს, სიმინდს, ციტრუსებს, ხილსა და სხვ.

საქართველოს მეჩაიეთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მომდინარე წელს აფხაზეთის მეჩაიეებმა. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 26 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გადაჭარბებით შეასრულეს თავიანთი ვალდებულება. უკვე 15 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შესრულდა მანდარინის, ფორთოხლისა და ლიმონის დამზადების წლიური გეგმები. ციტრუსების დამზადება გრძელდება და კიდევ ასობით ტონა ციტრუსებს მიიღებენ საახალწლო სუფრისათვის მშრომელები.

ამ მიღწევებთან ერთად ორატორმა აღნიშნა აფხაზეთის სახალხო მეურნეობის განვითარების ნაკლოვანებანი. იგი, კერძოდ, აღნიშნავს მშენებლობის ნელ ტემპს, ამაში ბრალი მიუძღვით არა მარტო მშენებლებს, არამედ მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებსაც, რომლებიც დროზე არ აწვდიან საშენ მასალებს.

ორატორმა სთხოვა რესპუბლიკის მთავრობას გამოუყოს აფხაზეთს დამატებითი ასიგნებანი მთელი რიგი პირველხარისხოვანი ობიექტებისათვის.

აფხაზეთის მშრომელები, ამბობს დასასრულ დეპუტატი გოგოხია, არ დაშურებენ ძალღონესა და ენერგიას, რომ პირნათლად შეასრულონ 1963 წლის გეგმით გათვალისწინებული დავალებანი.

დეპუტატ

ა. ვ. ძამაშვილის

სიტყვა

მინდა ვუამბო სესიას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის შრომითს საქმეებზე. ჩვენ დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ შვიდწლედის სამი წლისა და თერთმეტი თვის გეგმა. სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით ათეული ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და ბევრი სხვა პროდუქცია.

ჩემმა ბრიგადამ ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება. საწარმოს 1960 მუშაკს მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. ბევრი მათგანი 1965 და 1966 წლების ინგარიშში მუშაობს, ეს ფაქტები მკვეთრმეტყველურად მოწმობენ, რომ ჩვენი ქარხნის მეტალურგები წარმატებით იბრძვიან კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბევრ საამქროში შეიქმნა საწარმოო კომიტეტები. ქარხანამ უკვე დეკემბრის პირველ რიცხვებში შეასრულა ერთი წლის სოციალისტური ვალდებულება და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 200 ათასი მანეთი.

შემდეგ ორატორი შეეხო რუსთავის საბინაო მშენებლობის საკითხებს. ახალი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის 1963 წლისათვის დასახული გეგმა ვერ დაკმაყოფილებს ქალაქის მშრომელთა მოთხოვნილებებს. ორატორი სთხოვს სესიას გადიდოს ასიგნებანი საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობისათვის.

მწვავე პრობლემაა ქალაქში, განაგრძო ორატორმა, სასმელი წყალი. მომავალ წელს დაიწყება დიდი წყალსადენის მშენებლობა. გეგმით იგი მწყობრში უნდა ჩადგეს 1965 წელს. რუსთაველთა სახელით დეპუტატი სთხოვს სესიას შეამციროს ამ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის ვადები და გადიდოს საქალაქო ტრანსპორტის პარკი.

დეპუტატ

ვ. ა. კაატაშვილის

სიტყვა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ამბობს ორატორი, დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. ამის მკაფიო დადასტურებაა საბინაო-კომუნალური მშენებლობის უდიდესი გაქანება.

მარტო ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აშენდა 4 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. 1957 წელთან შედარებით საბინაო მშენებლობის მოცულობა შარშან თითქმის ერთიორად გაიზარდა. მნიშვნელოვანი შუშაობა შესრულდა ქალაქებისა და სოფლების კომუნალური მეურნეობის გაფართოებისათვის. შემდგომ განვითარდა ელექტრომეურნეობა, ტრანსპორტი, მოსახლეობის მომსახურება გაზით და საქალაქო მეურნეობის სხვა დარგები. მარტო თბილისში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გაყვანილია 162 კილომეტრი სიგრძის გაზის ქსელი, გაზიფიცირებულია 65 მსხვილი საწარმო, სწრაფი ტემპით წარმოებს ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობა.

პროდუქციის გამოშვების გეგმა ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხაზით გადაჭარბებით სრულდება. ამასთანავე, აღნიშნავს ორატორი, არიან საწარმოები, რომლებიც ცუდად მუშაობენ, ვერ ასრულებენ გეგმებს, უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას, ცუდად ემსახურებიან მოსახლეობას. ჯერ კიდევ არის სახელმწიფო სახსრების დატაცების შემთხვევები.

ორატორმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო არსებული საცხოვრებელი ფონდის შენარჩუნებისა და მისი მოვლის საკითხებს. იგი ამბობს, რომ საჭიროა მთელი მუშაობა წარიმართოს საქალაქო საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტისათვის საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის სისტემაში და მათს გამგეობებში გადაეცეს ყველა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაცია, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების ექვემდებარებიან.

დეპუტატ

მ. ე. თოფურიძის

სიტყვა

არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ამბობს ორატორი, მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფას.

სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია სოციალური უზრუნველყოფის ჰეშმარიტად ჰუმანური, ყოვლისმომცველი სახელმწიფო სისტემა.

თუ 1956 წელს, პენსიებისა და დახმარებათა თანხა შეადგენდა 32 მილიონ მანეთის (ფასების ახალი მასშტაბით), მომდინარე წელს ეს თანხა შეადგენს 96 მილიონ მანეთს, ესე იგი ერთისამად გაიზარდა.

სოციალური უზრუნველყოფის ყველა ღონისძიებას მომდინარე წელს მოხმარდა დაახლოებით 136 მილიონი მანეთი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით, რომელიც წარმოდგენილია თქვენს განსახილველად, სოციალური უზრუნველყოფის 1963 წლის ხარჯები გაათვალისწინებულია ამ ოდენობით, რომელიც 3 მილიონი მანეთით აღემატება მიმდინარე წლის ასიგნებებს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებას მოგვაცემს მნიშვნელოვნად გაეზარდოს შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.

შემდეგ ორატორი შეეხო ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს. დაიწყო წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობა. ეუთაისის მცხოვრებლებმა უკვე მიიღეს 20.295 კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი, აშენდა ახალი სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები.

წინასწარი გაანგარიშებით ქალაქის 1962 წლის ბიუჯეტი 11.250 ათასი მანეთის ოდენობით შესრულდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოებს ქუთაისის გენერალური რეკონსტრუქცია, ორატორმა სთხოვა სესიას გადიდოს ასიგნებანი ამ მიზნით, და კერძოდ, გამოიყოს 100 ათასი მანეთი რიონის ნაპირსამაგრებელი სამუშაოებისთვის.

მან წინადადება წამოაყენა დამტკიცდეს სესიის განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას, მისი ეკონომიკის, კულტურის აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ

კულტურის მინისტრის

თ. პ. ბუაჩიძის

სიტყვა

დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თქვა ორატორმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა, რაც ახლა ხორციელდება პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, დიდ ამოცანებს უსახავს აგრეთვე იდეოლოგიური ფრონტისა და კულტურის მუშაკებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს. ჩვენი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, ხელოვნების მოღვაწეები მოწოდებული არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. თავიანთ ნაწარმოებებში მათ უფრო სრულად და უფრო მკაფიოდ უნდა ასახონ საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვანი ცხოვრება, მათი თავდადებული ბრძოლა პარტიის დიდ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის.

თავის სიტყვაში ამხ. ბუაჩიძე დაწვრილებით შეეხო საქართველოს თეატრების, კონსერვატორიისა „ქართული ფილმის" მუშაობას. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს რუსთაველის, მარჯანიშვილის, გრიბოედოვის, მესხიშვილის სახელობისა და სხვა დრამატულმა თეატრებმა მაყურებელი გაანაგრძეს ინტენსიური ხელოვნების მუშაკებისა და ხალხის წინაშე, მოხმარდება სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისა და ჩვენი მხატვრების ოსტატობის შემდგომ განვითარებას.

სულ უფრო მეტად ვრცელდება კულტურის დაწესებულებათა საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისები. ნაკარაულევია საზოგადოებრივ საწყისებზე სამუშაოდ გადავიდეს საქართველოს 1000-ზე მეტი ბიბლიოთეკა.

ამხ. ბუაჩიძემ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის კულტურის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ ამოცანებს, რომლებიც მათ დააკისრეს პარტიამ და ხალხმა.

დეპუტატ

უ. ფ. ცქვიტინიძის

სიტყვა

ორატორმა დაახასიათა ქუთაისის მშრომელთა წარმატებანი. მომდინარე წლის თერთმეტი თვის გეგმა მათ შეასრულეს 103,4 პროცენტით და სამშობლოს მისცეს 4.867 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. კარგად იმუშავეს ავტომობილების, კამეოლის ფაბრიკის, საკონსერვო, სატრაქტორო, ლითოპონისა და სხვა ქარხნების კოლექტივებმა. ქალაქის 47 საწარმოში განხორციელდა დიდი ღონისძიებანი ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი.

შემდეგ ორატორი შეეხო ქალაქის კეთილმოწყობის საკითხებს. დაიწყო წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობა. ეუთაისის მცხოვრებლებმა უკვე მიიღეს 20.295 კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი, აშენდა ახალი სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები.

წინასწარი გაანგარიშებით ქალაქის 1962 წლის ბიუჯეტი 11.250 ათასი მანეთის ოდენობით შესრულდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოებს ქუთაისის გენერალური რეკონსტრუქცია, ორატორმა სთხოვა სესიას გადიდოს ასიგნებანი ამ მიზნით, და კერძოდ, გამოიყოს 100 ათასი მანეთი რიონის ნაპირსამაგრებელი სამუშაოებისთვის.

მან წინადადება წამოაყენა დამტკიცდეს სესიის განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას, მისი ეკონომიკის, კულტურის აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ

კულტურის მინისტრის

თ. პ. ბუაჩიძის

სიტყვა

დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, თქვა ორატორმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი. სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა, რაც ახლა ხორციელდება პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, დიდ ამოცანებს უსახავს აგრეთვე იდეოლოგიური ფრონტისა და კულტურის მუშაკებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებს. ჩვენი მწერლები, პოეტები, დრამატურგები, ხელოვნების მოღვაწეები მოწოდებული არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. თავიანთ ნაწარმოებებ

საინტერესო ამბების სამყაროში

მიკრობი—სანიტარი

მიკრობთა ამტანობა ნამდვილად საოცარია. მათ შეუძლიათ ორი-სამი საათის განმავლობაში თავიანთ წონაზე ათასჯერ მეტის შთანთქმა, მაგალითად, თუ ბაქტერიების კოლონიას მივთავსებთ რეზერვუარში წარმოების რომელიმე თხევად ნარჩენებთან ერთად, ერთი საათის შემდეგ წყალი გასუფთავდება.

დედამიწაზე ცხოვრება წარმოუდგენელია უბაქტერიოდ. ძლიერ გამუქყიყანდებოდა მდინარეები, სოლო დედამიწის ზედაპირი დაიფარებოდა მკვდარი ორგანიზმების გროვით, ნაგვით. მაგრამ ამჟამად მეცნიერები არა მარტო აკვირდებიან მიკროებებს, არამედ უნერგავენ მათ ადამიანისათვის სასარგებლო თვისებებს. გამოჰყავთ ბაქტერიების ახალი სახეობები, რომლებსაც აჩვენენ უვარგისი ნარჩენების ძვირფას პროდუქტებად გადამუშავებას. ახლახან ჩეხოსლოვაკიელმა მეცნიერებმა ეერეთ წოდებულ გოგირდის ბაქტერიებს, რომლებიც იკვებებიან გოგირდის მწარი მადნით, „შესანოვლეს" გოგირდმჟავის გამომუშავება.

ბაქტერიების გაშენების პრობლემაზე, რომლებიც ასრულებენ სანიტარებისა და ბუნების გასაუხვეველი ფაბრიკის როლს, მუშაობენ საბჭოთა ბიოლოგებიც.

ლითონი, რომელსაც წყალგადი ქმნის...

რკინის ფხვნილისაგან ახალა ამზადებენ მაგნეტებსა და საკისრებს, შესადუღ ელექტროდებსა და რადიოაპარატურის დეტალებს. ამ მასალაზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდება. აი რატომ არის, რომ მკვლევარები ეძებენ მისი მიღების რაციონალურ გზებს.

ი. პ. ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიაში ექსპერიმენტულად შეამოწმეს მდულარე შრის რეაქტორში რკინის ფხვნილის მიღების ხერხი.

უყანგავი ფოლადისაგან დამზადებული რეაქტორი-მილი, რომელსაც შიგნით ცხაური აქვს. ცხაურზე აწყობენ დაუცმაცებული მადნისა და გლინვის ხენჯის ფენას. შემდეგ აწვდიან დიდი წნევით გახურებულ წყალბადს. მადნის ნაწილაკები „დუღს", და ხდება რკინის ყანგის აღდგენა ლითონად.

ლითონს, რომელიც აღდგენილია წყალბადით, არა აქვს ფოსფორის, გოგირდისა და ნახშირბადის მინარევი, ხოლო დაბალი ტემპერატურის დროს მოქმედ რეაქტორს არ სჭირდება ძვირადღირებული. ცეცხლგამძლე მასალები და დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება მისი გამოყენება. რკინის ფხვნილის მიღების პროცესი შეიძლება მთლიანად მექანიზებული იყოს.

მდულარე შრის რეაქტორში ყანგეულებისაგან ლითონის მიღების პირდაპირის სქემა გამოიყენეს უკრაინის მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში.

მზის... რეცეპტი

მზე რომ მკურნალობს... ამას დადასტურება როდი სჭირდება. შემთხვევითი როდია, რომ ყოველწლიურად ათასობით ადამიანი შვებულებას შავი ზღვის პირას ატარებს. მაგრამ მზეზე ხანგრძლივი ყოფნა სასარგებლო არ არის. როგორ შევიტყოთ, თუ როდის უნდა შევიკავოთ თავი მზის აბაზანებისაგან?

ამ კითხვაზე ახლა პასუხს იძლევა „პლაჟის ექიმი" — ელექტრონული ხელსაწყო, რომელიც შექმნა და დაამზადა უკრაინის სამედიცინო კლიმატოლოგიისა და კლიმატოთერაპიის ინსტიტუტის სპეციალისტთა ჯგუფმა. ხელსაწყოს დამენ პლაჟზე. საათში ერთხელ მორიგე სპეციალისტი ამ ხელსაწყოს აწვდის მონაცემებს ამინდის შესახებ — შეაქვს პროგრამა: რეცეპტის მისაღებად საჭიროა კბილზე ხელის დაჭერა და ხელსაწყოსათვის იმის ცნობება, თუ რამდენი დღე იმყოფებით კურორტზე, როგორი დიაგნოზია შეტანილი თქვენს სანატორიუმის წიგნაკში. ხელსაწყოს თავის ელექტრონულ „გონებაში" აქვს დაახლოებით ხუთი ათასი პასუხი — კიბერნეტიკული მანქანა არჩევს ყველაზე ზუსტ პასუხს და ეს იწერება შუქფარზე, რომელიც აღნიშნავს მზისა და ზღვის პროცედურების საჭირო ხანგრძლივობას.

მეხუთე ოკეანის შესახებ

ბევრ საიდუმლოებას შეიცავს ჰაერის გარსი. რომელიც გარს აკრავს ჩვენს პლანეტას. რატომ არის, რომ ატმოსფერო შეიცავს დაახლოებით 22 პროცენტ ჟანგბადსა და 78 პროცენტ აზოტს? როგორ აღმოაჩინეს ინერტული გაზები — არგონი, ნეონი, ჰელიუმი? ასეთ და ბევრ სხვა კითხვაზე პასუხს იძლევა მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „მეხუთე ოკეანე", რომელიც გამოუშვა პენზის წიგნის გამომცემლობამ. მისმა ავტორებმა, მეცნიერებმა ე. რუდენკომ და პ. ტაუბემ საინტერესოდ უამბეს მკითხველს დედამიწის ატმოსფეროს შესახებ.

მოგზაურობა „მეხუთე ოკეანეში" მკითხველს აწვდის საინტერესო ცნობებს, რომლებიც დაგროვეს მეცნიერებმა, ბუნებისმეტყველებმა და ექსპერიმენტატორებმა. წიგნში გაშუქებულია ადამიანის მიერ ჰაერის ატმოსფეროს შეცნობის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. მკითხველები გაიგებენ „მზის გაზის" შესახებ, სუნთქვის აღმძვრელის შესახებ (ნახშირორჟანგის გაზის შესახებ), ატმოსფეროში წყლის შესახებ, ჰაერის შესახებ — მრეწველობის ამ მუქთი საკვების შესახებ, ატმოსფერული ოკეანის სიღრმეთა შესახებ. წიგნის დასკვნითი ნაწილი ეძღვნება კოსმოსური სივრცეთა ათვისებას.



ავტოგრაფის მეორედ დაბადება

ლენინგრადში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დოკუმენტების კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიაში დამთავრდა ა. მ. გორკის ორასამდე წერილისა და მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტების აღდგენა. რომლებიც ჩაუსწორებია დიდ მწერალს.

გორკის მასალების სწრაფი რესტავრაცია საჭირო იყო, რადგან ქაღალდი მოძველდა და გაუფერულდა. მნიშვნელოვან ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს იწვევს საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი ა. მ. გორკის ოთახამდე წერილისა და მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტების აღდგენა. რომლებიც ჩაუსწორებია დიდ მწერალს.

ლენინგრადელი ბავშვების ... ...

... ...

... ...

... ...